# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 8 მარტი 1994 № 14 (89) ფასი 3500 კუპონი


2 „ბაიერნი“ წინ მიიწევს

ევროპული ჩემპიონატები

3 მანუელა დი ჩენტა:



ხუთი მედლის პატრონი

4 19 მარტს თბილისში

ინგლისი და უელსი „ხუთი ერის პირველობის“ გამარჯვებულს გამოავლენენ

# 8 მარტი — ფეხბურთის დღე

## დღეს საქართველოს ჩემპიონატი განახლდება



წლევანდელმა რვა მარტმა სხვა დატვირთვა მიიღო: ამ დღეს განახლდება მეხუთე ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპი. პირველ-მეათე ადგილებისთვის მებრძოლი გუნდები პაექრობას ალბათ ლანჩხუთის „გურიას“ გარეშე დაიწყებენ: გუშინწინ დაესწარი კლუბის ფეხბურთელთა და ხელმძღვანელთა შეხვედრას, ამ უკანასკნელებმა ფეხბურთელებს შესთავაზეს სეზონის წინ შეპირებული გასამრჯელოს ნაწილი და დანარჩენი ვალის უახლოეს კვირებში გასტუმრებას დაჰპირდნენ. ფეხბურთელებმა კი, რომლებსაც არაერთხელ მოუსმენიათ მსგავსი დაპირებანი, უარი თქვეს ლანჩხუთში გამგზავრებაზე. გუშინ დილას ლანჩხუთში მხოლოდ ადგილობრივი ფეხბურთელები და გუნდის ხელმძღვანელები მიემგზავრებოდნენ. ფეხბურთის ფედერაციიდან გვაცნობეს, რომ მატჩზე მსაჯთა ბრიგადაც მივლენილია და ინსპექტორიც. ჩატარდება თუ არა თამაში, დღევანდელი დღე გვიჩვენებს. „გურიას“ დაშლა დიდი დარტყმა იქნება ქართული ფეხბურთისთვის, ლანჩხუთელებმა ხომ ორჯერ მოახდინეს ფურორი საბჭოთა საფეხბურთო იმპერიაში, კრიზისის შემდეგ თემურ ჩხაიძის მოსვლით კი გუნდმა ისევ მიიღო თავისი სახე და კვლავ ჩადგა ქართული ფეხბურთის ავანგარდში.

ლანჩხუთისგან განსხვავებით ფოთში ფეხბურთი იფურჩქნება. „კოლხეთი 1913“-ის მენეჯერის, სოსო ფილიას თქმით კლუბის პრეზიდენტი დავით კუპრეიშვილი იდეალურ პირობებს უქმნის ფეხბურთელებს. პრეზიდენტს დიზელის მოტორიც შეუძენია გუნდისთვის და ახლა ფეხბურთელებს გამუდმებით აქვთ ცხელი წყალი. გუნდმა 20 იანვრიდან დაიწყო სეზონისთვის მზადება. „კოლხეთი 1913“-ს დაემატნენ ახალგაზრდები: ლაშა ხოფერია (1975 წ), ელგუჯა პაპავა (1974), გაგრელი ნახევარმცველი ასტამურ სიჭინავა. გუნდმა ოთხი საკონტროლო თამაში ჩაატარა: „ბათუმთან“ — 3:3 და 1:0, „ოდიშთან“ — 3:2 და 0:1. როგორც შევიტყვე, ფოთელთა მიზანი წელს ჩემპიონობა და თასის აღება ყოფილა. ბარაქალა ფოთელებო!

დუბლის ყველაზე რეალური პრეტენდენტი თბილისის „დინამო“ გაახალგაზრდავებული შემადგენლობით ხვდება მეორე ეტაპს. წამყვანი ფეხბურთელების ევროპაში წასვლის შემდეგ გივი ნოდიამ გეზი ახალგაზრდებზე აიღო და უნდა ითქვას, მათაც თავი არ შეურცხვენიათ. თანაც პირველი წრის შემდეგ ახალგაზრდებმა კარგი გამოცდილება შეიძინეს გერმანიისა და მოსკოვის ტურნირებზე. ამას დაუმატეთ მინი-ფეხბურთის ორი ტურნირი სპორტის სასახლეში და „ბენდელას თასზე“ მოპოვებული პრიზი — „მომავლის გუნდს“. ნუ დაგვავიწყდება „ძველებიც“: უკანასკნელ თვეებში საგრძნობლად მოუმატა ჯამარაულმა, რევიშვილი ყველა მატჩში მარჯვენა ფლანგის ბატონ-პატრონია, ყაველაშვილმა ორწლიანი პაუზის შემდეგ გაიხსენა „ახალგაზრდობა“ და ყველა თამაშში კლუბსა თუ ნაკრებში გოლებს იტანს, გიორგი ანჩაბაძისათვის კი ეს ეტაპი გადამწყვეტია. მისი ნიჭისა და საფეხბურთო ინტელექტის პატრონი იმედია გუნდის ლიდერი გახდება. ამ კვარტეტს დავუმატებ ნემსაძეს, რომლის მსგავსი უნივერსალი დღეს სანთლით საძებარია. ახალგაზრდა გუნდს შეადუღაბებს გამოცდილი ტყებუჩავასა და ინალიშვილის ოსტატობა. კარში „დინამოს“ პრობლემა არა აქვს — ზოიძეც და ჩხეიძეც მაღალი კლასის მეკარეები არიან.

დინამოელთა დღევანდელი მეტოქე „სამტრედია“ მეორე ეტაპს ახალი მწვრთნელით დაიწყებს — ჯონი ჯანელიძეს წარსდგენა არ სჭირდება. მისი ყოფილი გუნდი — გურჯაანის ერქვანყოფილი „ალაზანი“ გურჯაანელთა ძველმა მწვრთნელმა, ვახტანგ ჭუნიაშვილმა ჩაიბარა. გურჯაანელებმა ფინანსური პრობლემები მოაწესრიგეს და თებერვლის ბოლოს თბილისში მოსამზადებელი ციკლიც გაიარეს. „დინამო“ — „სამტრედია“ 14 საათზე ეროვნულ სტადიონზე ითამაშებენ.

სასიხარულოა, რომ ზუგდიდის „ოდიშიც“ ჩაებმება გათამაშებაში. ზუგდიდელთა თავზე იმდენი უბედურება დატრიალდა, ყველას ეგონა, ფეხბურთისთვის ველარ მოიცლიანო, მაგრამ, ოდიშელებს ფეხბურთის სიყვარული სისხლში აქვთ გამჯდარი: გუნდი არ დაშალეს, მოსამზადებელი პერიოდიც გაიარეს (10 იანვრიდან), საკონტროლო თამაშებიც ჩაატარეს („კოლხეთი 1913“ — 2:3 და 1:0, „სამტრედია“ — 0:4, ზუგდიდის „შევარდენი“ — 4:1) და ზეგ რუსთავსაც ესტუმრებიან სათამაშოდ. ზუგდიდელებმა, როგორც მეგრული ადათ-წესები მოითხოვს, გაჭირვებული თანამოძმეებიც შეიფარეს: ოჩამჩირის დაშლილი „ამირანიდან“ ძალამიძე და ახვლედიანი აიყვანეს, სოხუმის „ცხუმიდან“ — ლევან მიქაძე. გუნდის შენარჩუნება ყველაზე მეტად ორი კაცის დამსახურებაა — რაიონის პროკურორის დავით ჭკადუასა და ზუგდიდის გამგებლის ედიშერ ჩარგაზიასი. ის კი არა და ზუგდიდელებს კიდევ ერთი გუნდი გამოჰყავთ — „შევარდენი“ (მეორე ჯგუფი), რომელსაც აგერ უკვე მერამდენე წელია ძველი ფეხბურთელი რევაზ პერტია მფარველობს.

თბილისის „შევარდენი 1906“-ის მთავარი მწვრთნელი მურთაზ ხურცილავა, როგორც ყოველთვის, არც ახლა გეგმავს კონკრეტულ ადგილს — ჩვენი მიზანია ლამაზი, სანახაობრივი ფეხბურთი ვუჩვენოთ მაყურებელს — აცხადებს იგი. შევარდნები წელს ოჩამჩირელი მცველით, 20 წლის რომეო გოგიტაძეთი გაძლიერდებიან, სამაგიეროდ არ ეყოლებათ გამოცდილი ბომბარდირი ფანცულაია. ბოლო საკონტროლო მატჩი „შევარდენმა“ გორის „დილასთან“ ფრედ 0:0 ითამაშა.

რაც შეეხება „ბრძოლას არსებობისათვის“ — მეთერთმეტედან მეცხრამეტე ადგილებისათვის მებრძოლ გუნდებს: „მრეტები“ საშინაო თამაშებს კვლავაც მცხეთაში ითამაშებს. ფინანსური სიძნელეების გამო გაურკვეველია თელავის „კახეთის“ ბედიც. გაუჭირდება უკრაინაში გადახვეწილ ლიდერთა გარეშე დარჩენილ „მადაროელსაც“.

ორიოდე სიტყვა ეროვნული ჩემპიონატის კალენდარზე: თბილისის „დინამოსა“ და „შევარდენის“ საშინაო თამაშები ხშირად კვლავ ერთმანეთს ემთხვევა, რაც საშუალებას უსპობს გულშემატკივრებსა და ჟურნალისტებს ორივე გუნდის თამაშებს ადევნონ თვალი.

ბოლოს კი ერთი საინტერესო ფაქტი, ეროვნულ ჩემპიონატთან დაკავშირებული რომ არაა: სასტუმრო „მეტეხში“ გერმანიიდან ფაქსი მოვიდა: 1995 წლის (!) მარტში დანიშნული საქართველო — გერმანიის თამაშისათვის გერმანელები 185 ადგილის დაჯავშნას ითხოვენ!

მამუკა კვარაცხელია

## საქართველოს თასზე

ოთხ მარტს გაიმართა საქართველოს თასის მერვედფინალის პირველი მატჩები: „მადაროელი“ — „შევარდენი 1906“ 0:0, „დურუჯი“ — „გურია“ 1:0, „არაგვი“ — „სამგურალი“ 0:1, „დილა“ — „კოლხეთი 1913“ 1:1, „ივერია“ — „მეტალურგი“ 4:2 (მატჩი რუსთავში გაიმართა), „ბათუმი“ — „სამტრედია“ 4:1. განმეორებითი თამაშები 12 მარტს გაიმართება. მეოთხედფინალიდან (25 მარტი და 6 აპრილი) კი გათამაშებაში თბილისის „დინამო“ და „თეთრი არწივიც“ ჩაებმებიან.

## კერიგანი მდიდრდება, ჰარდინგი მიზეზვეს

ზამთრის ოლიმპიადის შემდეგ სხვადასხვაგვარად წარიმართა ამერიკელი ფიგურისტი ქალების ნენსი კერიგანისა და ტანია ჰარდინგის ცხოვრება (ამათი საოლიმპიადო ამბავი მოიკითხეთ მე-3 გვერდზე). მუხლში კეტჩარტყმულმა კერიგანმა სარფიანი კონტრაქტი გააფორმა ერთ-ერთ კოსმეტიკურ ფირმასთან. ამ კონტრაქტის დეტალები უცნობია. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ კერიგანი 2 მილიონ დოლარად მოურიგდა „უოლტ დისნეის“, რომ მონაწილეობას მიიღებს სატელევიზიო შოუებში და დაწერს ავტობიოგრაფიულ წიგნს. რაც შეეხება ჰარდინგს, ოლიმპიადაზე დამარცხების შემდეგ, შინ მიბრუნებულს ღამით თავს დაესხნენ და ლაზათიანად მიბეგვეს. პოლიცია ეძებს უცნობ თავდამსხმელებს.

## გიორგი ქინქლაძე:




## დებიუტი ბუნდესლიგაში

როგორც იქნა დადგა ჟამი გიორგი ქინქლაძის მინდორზე გამოსვლისა: მოგეხსენებათ საბუთების თანახმად გიორგის კონტრაქტის დადებიდან სამი თვის შემდეგ შეეძლო გამოსვლა „ზაარბრიუკენის“ შემადგენლობაში. პირველი ორი ტური ქინქლაძემ სწორედ ამის გამო გამოტოვა. მესამე ტურში „ზაარბრიუკენმა“ შინ ბერლინის „ტენის ბორუსიამ“ მიიღო. ქინქლაძემ ბრწყინვალედ ჩაატარა მატჩი და ბდღვირი ადინა მეტოქეთა დაცვას. მან თანაგუნდელებს ორი გოლი გაატანინა. ამის შემდეგ მეტოქე მცველებმა ნადირობა დაიწყეს ქინქლაძეზე და ტრავმაც მიაყენეს: მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე აბრამჩიკმა გიორგი გამოცვალა, გასახდელში მიმავალს გულშემატკივრები „გიო, გიო!“ ძახილით და ტაშით აცილებდნენ. ქინქლაძის გასვლის შემდეგ „ზაარბრიუკენმა“ დათმო თამაში და ორი გოლი გაუშვა — 2:2. საბედნიეროდ, ქინქლაძის ტრავმა არ აღმოჩნდა საშიში და იგი თერთმეტ მარტს კვლავ გამოვა მინდორზე.

რეზო არველაძეს ტრავმის გამო მესამე მატჩი „კიოლნში“ არ უთამაშია.

გერმანიის ობერლიგას კიდევ შეემატებიან ქართველი ფეხბურთელები: ბავარიის მიწის ობერლიგაში, მიუნხენის ჩრდილოეთით ნიურნბერგთან მდებარე ქალაქ ბაიროტის ამავე სახელწოდების კლუბში საკონტროლო მატჩი ჩაატარა მრეტმა ბუბა ტყავაძემ. გაზეთ „ნორდბაირიშერ კურიერში“ ამ მატჩის განხილვისას სწერია, რომ: „ქართველმა გიორგი ტყავაძემ გაამართლა „ბაიროტის“ მწვრთნელის ნორბერტ ჰოფმანის იმედები. მან ოთხი საგოლე პასი გააკეთა და ალბათ მომავალში გუნდის მოტორი გახდება“. „ბაიროტმა“ ის მატჩი 6:0 მოიგო. გასულ შაბათს ტყავაძე ოჯახითურთ გაფრინდა გერმანიას. მასთან ერთად გაემგზავრა გრიგოლ ცაავა, რომელიც კიოლნის ერთ-ერთ გუნდში, ისიც ობერლიგაში იასპარეზებს.

„მრეტების“ კაპიტანი გელა ქორიძე მოსკოვის „ტორპედოშია“, გურჯაანის მეკარე გია მაკასარაშვილი — ვორონეჟის „ფაკელში“, არმიელი ლადო ჭოლოკავა — სანქტ-პეტერბურგის „სმენა-სატურნში“. ბელაია ცერკოვის „დინამო-2“-ში გაემგზავრა წარსულში ლანჩხუთის „გურიასა“ და გორის „დილას“ მცველი ალექსანდრე კონდრატიევი.

# საქართველოს ჩემპიონატის კალენდარი

## I-X ადგილები

### I წრე

**I ტური, 8 მარტი, სამშაბათი.** გურია — კოლხეთი 1913, დილა — ბათუმი, იველია — ტორპედო, მარგვეთი — შევარდენი 1906, დინამო — სამტრედია.

**II ტური, 16 მარტი, ოთხშაბათი.** კოლხეთი — სამტრედია, შევარდენი — დინამო, ტორპედო — მარგვეთი, ბათუმი — ივერია, გურია — დილა.

**III ტური, 21 მარტი, ორშაბათი.** დილა — კოლხეთი, ივერია — გურია, მარგვეთი — ბათუმი, დინამო — ტორპედო, სამტრედია — შევარდენი.

**IV ტური, 29 მარტი, სამშაბათი.** კოლხეთი — შევარდენი, ტორპედო — სამტრედია, ბათუმი — დინამო, გურია — მარგვეთი, დილა — ივერია.

**V ტური, 2 აპრილი, შაბათი.** ივერია — კოლხეთი, მარგვეთი — დილა, დინამო — გურია, სამტრედია — ბათუმი, შევარდენი — ტორპედო.

**VI ტური, 10 აპრილი, კვირა.** კოლხეთი — ტორპედო, ბათუმი — შევარდენი, გურია — სამტრედია, დილა — დინამო, ივერია — მარგვეთი.

**VII ტური, 18 აპრილი, ორშაბათი.** მარგვეთი — კოლხეთი, დინამო — ივერია, სამტრედია — დილა, შევარდენი — გურია, ტორპედო — ბათუმი.

**VIII ტური, 26 აპრილი, სამშაბათი.** კოლხეთი — ბათუმი, გურია — ტორპედო, დილა — შევარდენი, ივერია — სამტრედია, მარგვეთი — დინამო.

**IX ტური, 30 აპრილი, შაბათი.** დინამო — კოლხეთი, სამტრედია — მარგვეთი, შევარდენი — ივერია, ტორპედო — დილა, ბათუმი — გურია.

### II წრე

**X ტური, 10 მაისი, სამშაბათი.** კოლხეთი — გურია, ბათუმი — დილა, ტორპედო — ივერია, შევარდენი — მარგვეთი, სამტრედია — დინამო.

**XI ტური, 14 მაისი, შაბათი.** სამტრედია — კოლხეთი, დინამო — შევარდენი, მარგვეთი — ტორპედო, ივერია — ბათუმი, დილა — გურია.

**XII ტური, 18 მაისი, ოთხშაბათი.** კოლხეთი — დილა, გურია — ივერია, ბათუმი — მარგვეთი, ტორპედო — დინამო, შევარდენი — სამტრედია.

**XIII ტური, 22 მაისი, კვირა.** შევარდენი — კოლხეთი, სამტრედია — ტორპედო, დინამო — ბათუმი, მარგვეთი — გურია, ივერია — დილა.

**XIV ტური, 30 მაისი, ორშაბათი.** კოლხეთი — ივერია, დილა — მარგვეთი, გურია — დინამო, ბათუმი — სამტრედია, ტორპედო — შევარდენი.

**XV ტური, 3 ივნისი, პარასკევი.** ტორპედო — კოლხეთი, შევარდენი — ბათუმი, სამტრედია — გურია, დინამო — დილა, მარგვეთი — ივერია.

**XVI ტური, 7 ივნისი, სამშაბათი.** კოლხეთი — მარგვეთი, ივერია — დინამო, დილა — სამტრედია, გურია — შევარდენი, ბათუმი — ტორპედო.

**XVII ტური, 11 ივნისი, შაბათი.** ბათუმი — კოლხეთი, ტორპედო — გურია, შევარდენი — დილა, სამტრედია — ივერია, დინამო — მარგვეთი.

**XVIII ტური, 15 ივნისი, ოთხშაბათი.** კოლხეთი — დინამო, მარგვეთი — სამტრედია, ივერია — შევარდენი, დილა — ტორპედო, გურია — ბათუმი.

## XI-XIX ადგილები

### I წრე

**I ტური, 8 მარტი, სამშაბათი.** მაღაროელი — შუქურა. **9 მარტი, ოთხშაბათი.** მრეტები — ალაზანი, მეტალურგი — ოდიში, საპოვნელა — სამგურალი.

**II ტური, 17 მარტი, ხუთშაბათი.** ოდიში — საპოვნელა, ალაზანი — მეტალურგი, შუქურა — მრეტები, კახეთი — მაღაროელი.

**III ტური, 22 მარტი, სამშაბათი.** მრეტები — კახეთი, მეტალურგი — შუქურა, საპოვნელა — ალაზანი, სამგურალი — ოდიში.

**IV ტური, 30 მარტი, ოთხშაბათი.** ალაზანი — სამგურალი, შუქურა — საპოვნელა, კახეთი — მეტალურგი, მაღაროელი — მრეტები.

**V ტური, 3 აპრილი, კვირა.** მეტალურგი — მაღაროელი, საპოვნელა — კახეთი, სამგურალი — შუქურა, ოდიში — ალაზანი.

**VI ტური, 11 აპრილი, ორშაბათი.** შუქურა — ოდიში, კახეთი — სამგურალი, მაღაროელი — საპოვნელა, მრეტები — მეტალურგი.

**VII ტური, 19 აპრილი, სამშაბათი.** საპოვნელა — მრეტები, სამგურალი — მაღაროელი, ოდიში — კახეთი, ალაზანი — შუქურა.

**VIII ტური, 26 აპრილი, სამშაბათი.** კახეთი — ალაზანი, მაღაროელი — ოდიში, მრეტები — სამგურალი, მეტალურგი — საპოვნელა.

**IX ტური, 30 აპრილი, შაბათი.** სამგურალი — მეტალურგი, ოდიში — მრეტები, ალაზანი — მაღაროელი, შუქურა — კახეთი.

### II წრე

**X ტური, 11 მაისი, ოთხშაბათი.** შუქურა — მაღაროელი, ალაზანი — მრეტები, ოდიში — მეტალურგი, სამგურალი — საპოვნელა.

**XI ტური, 15 მაისი, კვირა.** საპოვნელა — ოდიში, მეტალურგი — ალაზანი, მრეტები — შუქურა, მაღაროელი — კახეთი.

**XII ტური, 19 მაისი, ხუთშაბათი.** კახეთი — მრეტები, შუქურა — მეტალურგი, ოდიში — სამგურალი, ალაზანი — საპოვნელა.

**XIII ტური, 23 მაისი, ორშაბათი.** სამგურალი — ალაზანი, საპოვნელა — შუქურა, მეტალურგი — კახეთი, მრეტები — მაღაროელი.

**XIV ტური, 31 მაისი, სამშაბათი.** მაღაროელი — მეტალურგი, კახეთი — საპოვნელა, შუქურა — სამგურალი, ალაზანი — ოდიში.

**XV ტური, 4 ივნისი, შაბათი.** ოდიში — შუქურა, სამგურალი — კახეთი, საპოვნელა — მაღაროელი, მეტალურგი — მრეტები.

**XVI ტური, 8 ივნისი, ოთხშაბათი.** მრეტები — საპოვნელა, მაღაროელი — სამგურალი, კახეთი — ოდიში, შუქურა — ალაზანი.

**XVII ტური, 12 ივნისი, კვირა.** ალაზანი — კახეთი, ოდიში — მაღაროელი, სამგურალი — მრეტები, საპოვნელა — მეტალურგი.

**XVIII ტური, 16 ივნისი, ხუთშაბათი.** მეტალურგი — სამგურალი, მრეტები — ოდიში, მაღაროელი — ალაზანი, კახეთი — შუქურა.


ტურისტული ფირმა „იმედი-92“
გთავაზობთ მოგზაურობას შემდეგ ქვეყნებში:

**ჰოლანდია-ბელგია** — გერმანიის გავლით. პირდაპირი რეისი თბილისი — პრაღა. პრაღიდან ჰოლანდიამდე მგზავრობა კომფორტული ავტობუსით. ფირმა დაგეხმარებათ მანქანების შეძენაში. ფირმა სხვა ფირმებს დაეხმარება ვიზების გაფორმებაში.
**ეგვიპტე** (კაირო-ალექსანდრია) — მგზავრობა თვითმფრინავით პირდაპირი რეისით თბილისიდან თბილისამდე.
**საბერძნეთი** (სალონიკი) — მგზავრობა თვითმფრინავით პირდაპირი რეისით, ასევე ავტობუსით.
**სირია** (ალეპო) თურქეთის გავლით — მგზავრობა „მერსედესის“ ტიპის ავტობუსით.
**ბულგარეთი** (ვარნა) — თურქეთის გავლით. გასვლა თბილისიდან „მერსედესის“ ტიპის ავტობუსით.

**ჩვენი მისამართია: ალ. ყაზბეგის გამზ. 42, ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტრო, IV სართული. ტელეფონები: 39-36-78; 38-11-14; 39-24-32.**



სავაჭრო-სამრეწველო კომპანია „ა ჩ ი“

ითვალისწინებს რა თქვენს სურვილებს, აგრძელებს თანხების მიღებას შემდეგი პირობებით:

**1 თვე — 17%; 3 თვე — 18,5-20,5% თვეში;**
**6 თვე — 21-26% თვეში; 12 თვე — 28% თვეში.**

მომსახურების კომპიუტერული სისტემა, მჭიდრო კონტაქტები საზღვარგარეთის საქმიან წრეებთან, საინვესტიციო საქმიანობა, სასაქონლო ოპერაციები თქვენი თანხების უსაფრთხოების გარანტიაა!

ჩვენი მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. 75. ტელეფონები: 95-44-35 9-18 სთ. მიღება 14-18 სთ. თან იქონიეთ პასპორტი.


## გერმანია

XXIV ტური. 4-6 მარტი. დუისბურგი — ვატენშაიდი 2:1 (შტაინინგერი 21, ნოტპოფი 36; ლესნიაკი 39), დინამო — კიოლნი 1:1 (ნოვაკი 56; პაუპტმანი 21), ბაიერნი — ვერდერი 2:0 (ნერლინგერი 48, ვალენსია 68), ლევერკუზენი — მიონხენგლადბახი 0:1 (პერლიხი 8), შტუტგარტი — ჰამბურგი 4:0 (დუნგა 70, დუბაჯიჩი 71, კინლე 76, კნუპი 80), შალკე — კაიზერსლაუტერნი 2:0 (სენდშაიდი 71, მულდერი 83), ლაიპციგი — დორტმუნდი 2:3 (პაილრიხი 30, ანდერსი 81; შამუიზა 47, ზიპელი 72, 74), კარლსრუე — ნიურნბერგი 3:2 (ბენდერი 47, შმიტი 68, შუტერლე 74; სარატე 4, სუტერი 61), ფრაიბურგი — აინტრახტი 1:3.

63 ათასი მაყურებლის თვალწინ მიუნხენის „ბაიერნმა“ ბოლო შვიდი წლის მანძილზე პირველად მოუგო „ვერდერს“ და კვლავ ცხრილის სათავეში დარჩა. გარდატეხა მოხდა 26-ე წუთზე, როცა მსაჯმა მეხმეთ შოლთან უხეშობისთვის სტუმართა ნახევარმცველი მარიო ბასლერი მოედნიდან გააძევა. ცხადი შეიქმნა, რომ ოთხშაბათს „მილანთან“ დაღლილი „ვერდერი“ ათი კაცით ველარ გაძლებდა და ასეც მოხდა: მეორე ტაიმის დაწყებისთანავე კრისტიან ნერლინგერმა სეზონში თავის მეცხრე გოლი გაიტანა (ამ მაჩვენებლით იგი ლიდერია „ბაიერნში“), 21 წუთის შემდეგ კი კოლუმბიელმა ადოლფო ვალენსიამ ყველა ეჭვი გაფანტა. ბასლერის ბედი გაიზიარა „ჰამბურგის“ ბულგარელმა პეტერ ხუბჩევმა. მისი გაძევება შტუტგარტელებმა ისე გამოიყენეს, თითქოს ჰოკეის თამაშობდნენ და ათ წუთში 4(!) გოლი გაიტანეს. თავისი წაუგებელი სერია ათ თამაშამდე გაზარდა დრეზდენის „დინამომ“, ვინც 1:1 ეთამაშა „კიოლნს“. სტუმრად ორჯერ იგებდა ცხრილის ქვედა ნაწილში მოფართხალე „ნიურნბერგი“, მაგრამ მაინც წააგო. მის „კოლეგა“ „ვატენშაიდს“ კი ვერც ახალმა მწვრთნელმა ფრანკ ჰარტმანმა უშველა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი (2) | 24 | 11 | 8 | 5 | 52-27 | 30 |
| დუისბურგი (დ) | 24 | 11 | 7 | 6 | 31-35 | 29 |
| აინტრახტი (3) | 24 | 11 | 6 | 7 | 40-30 | 28 |
| კაიზერსლ. (8) | 24 | 11 | 5 | 8 | 41-30 | 27 |
| კარლსრუე (6) | 24 | 9 | 9 | 6 | 33-25 | 27 |
| ჰამბურგი (11) | 24 | 11 | 5 | 8 | 38-36 | 27 |
| ლევერკუზ. (5) | 24 | 9 | 8 | 7 | 42-32 | 26 |
| ვერდერი (1) | 24 | 9 | 8 | 7 | 34-28 | 26 |
| შტუტგარ. (7) | 23 | 8 | 8 | 7 | 36-32 | 24 |
| მ.გლადბახი (9) | 24 | 9 | 6 | 9 | 45-43 | 24 |
| კიოლნი (12) | 24 | 9 | 6 | 9 | 31-33 | 24 |
| დორტმუნ. (4) | 23 | 9 | 6 | 8 | 33-36 | 24 |
| ფრაიბურგი (დ) | 24 | 7 | 7 | 10 | 41-45 | 21 |
| დინამო (15) | 24 | 7 | 11 | 6 | 27-32 | 21 |
| შალკე (10) | 24 | 7 | 7 | 10 | 28-37 | 21 |
| ნიურნბერ. (13) | 24 | 6 | 5 | 13 | 29-41 | 17 |
| ვატენშ. (14) | 24 | 3 | 10 | 11 | 30-46 | 16 |
| ლაიპციგი (დ) | 24 | 2 | 10 | 12 | 22-45 | 14 |

„დინამოს“ დაკლებული აქვს 4 ქულა.

## იტალია

XXVI ტური. 6 მარტი. ლაციო — რომა 1:0, ინტერი — უდინეზე 1:0, სამპდორია — ტორინო 1:0, ლეჩე — ნაპოლი 0:1, იუვენტუსი — მილანი 0:1, პიაჩენცა — ჯენოა 1:1, კალიარი — კრემონეზე 0:0, ფოჯა — ატალანტა 1:1, რეჯანა — პარმა შეწყდა მსაჯის ტრავმის გამო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი (1) | 26 | 17 | 8 | 1 | 30-9 | 42 |
| სამპდორია (7) | 26 | 16 | 4 | 6 | 50-31 | 36 |
| იუვენტუსი (4) | 26 | 12 | 10 | 4 | 44-22 | 34 |
| პარმა (3) | 25 | 14 | 5 | 6 | 40-21 | 33 |
| ლაციო (5) | 26 | 13 | 7 | 6 | 37-26 | 33 |
| ინტერი (2) | 26 | 10 | 8 | 8 | 35-27 | 28 |
| ნაპოლი (11) | 26 | 9 | 9 | 8 | 36-30 | 27 |
| ტორინო (9) | 26 | 9 | 9 | 8 | 32-26 | 27 |
| ფოჯა (12) | 26 | 7 | 12 | 7 | 37-32 | 26 |
| კალიარი (6) | 26 | 8 | 10 | 8 | 33-40 | 26 |
| პიაჩენცა (დ) | 26 | 7 | 9 | 10 | 24-36 | 23 |
| კრემონეზე (დ) | 26 | 7 | 8 | 11 | 28-32 | 22 |
| რომა (10) | 26 | 5 | 12 | 9 | 21-26 | 22 |
| ჯენოა (13) | 26 | 5 | 12 | 9 | 20-31 | 22 |
| უდინეზე (14) | 26 | 6 | 9 | 11 | 22-34 | 21 |
| რეჯანა (დ) | 25 | 5 | 8 | 12 | 18-30 | 18 |
| ატალანტა (8) | 26 | 4 | 9 | 13 | 25-47 | 17 |
| ლეჩე (დ) | 26 | 2 | 5 | 19 | 18-48 | 9 |

## ესპანეთი

XXVII ტური. 6 მარტი. ატლეტიკი — ვალენსია 2:1, ლოგრონიესი — სელტა 1:1, რაიო ვალეკანო — სპორტინგი 2:1, ლერიდა — რეალი 2:1, ტენერიფე — სევილია 2:1, სანტანდერი — სოსიედადი 4:1, ატლეტიკო — ალბასეტე 0:0, ოვიედო — ბარსელონა 1:3, ლა კორუნია — სარაგოსა 1:1, ვალიადოლიდი — ოსასუნა 2:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლა კორუნია (3) | 27 | 16 | 7 | 4 | 38-14 | 39 |
| ბარსელონა (1) | 27 | 16 | 4 | 7 | 63-33 | 36 |
| რეალი (2) | 27 | 14 | 6 | 7 | 38-28 | 34 |
| ატლეტიკი (8) | 27 | 12 | 7 | 8 | 40-28 | 31 |
| სარაგოსა (9) | 27 | 12 | 6 | 9 | 45-33 | 30 |
| სევილია (7) | 27 | 10 | 9 | 8 | 38-29 | 29 |
| ტენერიფე (5) | 27 | 12 | 5 | 10 | 36-37 | 29 |
| სანტანდერი (დ) | 27 | 11 | 6 | 10 | 31-27 | 28 |
| ალბასეტე (17) | 27 | 8 | 12 | 7 | 39-37 | 28 |
| სპორტინგი (13) | 27 | 12 | 4 | 11 | 35-33 | 28 |
| სოსიედადი (12) | 27 | 10 | 7 | 10 | 31-37 | 27 |
| ვალენსია (4) | 26 | 9 | 7 | 10 | 32-37 | 25 |
| ოვიედო (16) | 27 | 8 | 9 | 10 | 27-38 | 25 |
| სელტა (11) | 27 | 7 | 10 | 10 | 22-29 | 24 |
| ატლეტიკო (6) | 27 | 7 | 9 | 11 | 38-36 | 23 |
| რაიო ვალ. (14) | 26 | 8 | 7 | 11 | 32-43 | 23 |
| ლოგრონ. (15) | 27 | 5 | 12 | 10 | 31-39 | 22 |
| ლერიდა (დ) | 27 | 5 | 10 | 12 | 20-36 | 20 |
| ვალიადოლ. (დ) | 27 | 5 | 10 | 12 | 21-38 | 20 |
| ოსასუნა (10) | 27 | 5 | 7 | 15 | 21-46 | 17 |




ბრაზილიელი ჟოაო აველანჟე, რომელიც 78 წლისაა, თურმე მეექვსევადით აპირებს ფიფა-ს პრეზიდენტობას. ეს არ სიამოვნებიათ ევროპელებს, ამიტომ მათს მმართველ ორგანიზაცია უეფა-ს გადაუწყვეტია აველანჟის საწინააღმდეგო კოალიციის შექმნა, რისთვისაც ჯერ თურმე სხვა კონტინენტურ კონფედერაციებს უნდა მოელაპარაკოს.

ეგვიპტის უპოპულარესი კლუბი — კაიროს „ალ აჰლი“ გაიბუტა. საქმე ისაა, რომ მის მცველ იბრაჰიმ ჰასანს აფრიკის კონფედერაციამ და ფიფა-მ მისცეს ერთწლიანი დისკვალიფიკაცია იმის გამო, რომ ამ ფეხბურთელმა აფრიკის სუპერთასის ფინალში, რომელიც იოჰანესბურგში გაიმართა, მსაჯი შეურაცხყო. „ალ აჰლი“ უარზეა დაიცვას აფრიკის თასების მფლობელთა თასი, რომელიც შარშან მოიპოვა. ამაზე ფიფა-ს პრესატაშე გვიდო ტონიონიმ განაცხადა, ჩვენი უზენაესი ვალია მსაჯის დაცვა, ამასთან შედარებით ვილაცა ფეხბურთელის დისკვალიფიკაცია რა მოსატანიაო.

გაბონის კლუბმა ლიბრევილის „ამბალინგამ“ აფრიკის თასების მფლობელთა თასზე 13:0 დაამარცხა ჩადის „რენესანსი“. გაბონელებს მიზნად ჰქონიათ ორი მატჩის ჯამური ანგარიშის რეკორდის გაუმჯობესებაც, რომელიც 1990 წლიდან ეკუთვნის ტანზანიის „პამბასპორტს“, რომელმაც 17:1 მოუგო სეიშელის კუნძულების „ანაბვალიუს“, მაგრამ „ამბალინგას“ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა: ჩადის გუნდმა ხიფათი დროულად იყნოსა და შეჯიბრებას საკუთარი ნებით გამოაკლდა.

ფარერის კუნძულების ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა 1970-იანი წლების დანიელი ვარსკვლავი, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი ალან სიმონსენი. წინა მწვრთნელი პაულ გუდრიქსონი გადადგა მას შემდეგ, რაც აგვისტოში ფარერებმა ნორვეგიასთან 7:0 წააგეს. სიმონსენის გუნდს პირველი გამოცდა სექტემბერში ელის, როცა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს ითამაშებს.

საუდის არაბეთის ნაკრების მწვრთნელობიდან გადაყენებულმა ჰოლანდიელმა ლეო ბეენჰაკერმა საჯაროდ განაცხადა, ჩემი მოხსნა ფარსიაო. არაბებს კვირაში სამჯერ ვარჯიშის ნაცვლად, დღეში ორჯერ ჭავარჯიშებდი, რის გამოც ყველანი გამინაწყენდნენო. ახლა ჭვდგები და ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელ დიკ ადვოკაატს საუდელთა მთელ საიდუმლოებებს გავანდობო. ამასობაში არაბებმა ახალ მწვრთნელად დაინიშნეს არგენტინელი ხორხე სოლარი, რომელიც 1966 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშობდა.

ბრაზილიელ პელეს არ მიიწვევენ საპატიო სტუმრად აშშ-ის მსოფლიო პირველობაზე, ვინაიდან ჟოაო ავალანჟეს ედავება. პელეს შარშანდელი ეროვნული ჩემპიონატის ტელეტრანსლაციის უფლებების გაყიდვის დროს აველანჟისთვის მექრთამეობა დაუბრალებია, რის გამოც რიო დე-ჟანეიროს შტატის სასამართლო 60 დღეში აპირებს საქმის განხილვას.

შოტლანდიაში „სელტიკს“ ცუდად აქვს საქმე. გუნდს 9 მილიონი გირვანქა აწევს ვალად. გაჭირვებიდან თავის დასახსნელად გუნდის დირექტორატმა ერთი პირობა დააპირა ახალი სტადიონის მშენებლობაში წილზე ხელის აღება, მაგრამ ამას გულშემატკივართა მიერ გუნდის თამაშების ბოიკოტი მოყვა: სტადიონზე შეკრებილი ქომაგები შესვენებაზე შინ მიდიოდნენ. ბოლოსდაბოლოს 4 მარტს 13 საათიანი მოლაპარაკებების შემდეგ ყოფილმა დირექტორმა ბრაიან დემფსიმ საქმეები კანადელ ბიზნესმენ ფერგუს მაკქერნს გადააბარა.

ესპანეთში მადრიდის „ატლეტიკოს“ მორიგი ფათერაკი შეემთხვა. მისმა პირვეულმა მეპატრონემ ხესუს ხილი ხილმა წლეულს უკვე მეოთხე მწვრთნელი — ხოსე ლუის რომერო მოხსნა. იგი ხილის მიერ დაწუნებული მე-15 მწვრთნელია. ხილი ამასაც არ დასჯერდა და ფეხბურთელებზე თქვა, სპორტსმენები კი არა, ბალერინები არიანო.


# ტოტოლოტო
## საფეხბურთო პროგნოზი

ტირაჟი № 05 · 12-16 მარტი

| | | I წრე | პროგნოზი | |
|---|---|---|---|---|
| | იტალიის ჩემპიონატი | | | |
| 1 | მილანი — სამპდორია | 2:3 | 6 3 1 | 1 |
| 2 | პარმა — ინტერი | 2:3 | 5 4 1 | 1 X |
| | ჩემპიონთა ლიგა | | | |
| 3 | ბარსელონა — სპარტაკი | 2:2 | 7 2 1 | 1 |
| 4 | გალათასარაი — მონაკო | 0:3 | 3 4 3 | 1 X 2 |
| 5 | ვერდერი — მილანი | 1:2 | 3 5 2 | 1 X |
| 6 | პორტუ — ანდერლეხტი | 0:1 | 5 3 2 | 1 X |
| | ევროთასები | | | |
| 7 | ლევერკუზენი — ბენფიკა | 1:1 | 4 4 2 | 1 X |
| 8 | პარმა — აიაქსი | 0:0 | 5 3 2 | 1 X |
| 9 | არსენალი — ტორინო | 0:0 | 6 3 1 | 1 |
| 10 | პსჟ — რეალი | 1:0 | 4 5 1 | 1 X |
| 11 | ინტერი — დორტმუნდი | 2:1 | 4 4 2 | 1 X |

შედეგი ითვლება ძირითადი დროის მიხედვით.
ყოველ ტირაჟში მოგების მინიმალური ფონდია 1 000 000 კუპონი.
შევსებული ბილეთების ჩაბარების ბოლო ვადა: თბილისში — ყოველი კვირის ხუთშაბათი, 15 საათამდე, ცენტრალური ტელეგრაფის შენობაში.
ცნობებისათვის დარეკეთ: 96-32-61



# სარბიელი
# ტოტალიზატორი
## "CROCO"

ამიერიდან ეროვნული ჩემპიონატების შეხვედრათა ფსონები გამოქვეყნდება პარასკეობით, შუა კვირაში გასამართი მატჩებისა კი — სამშაბათობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილეჰამერული შთაბეჭდილებები



ILIA BABUNASHVILI
THE SARBIELI (GEO)

# 2. დიდი ჩემპიონები, რჩეული სახელები

თერთმეტი ათასი შეშლილი გულშემატკივრის ღრიალში ოცდახუთი წლის მედიკოსი სტუდენტი იოჰან ოლაფ კოსი ფინიშის ხაზს კვეთს – 10 ათასი მეტრი 13 წუთსა და 30,55 წამში, ეს მსოფლიოს რეკორდია. ნორვეგიელი მოციგურავე ლილეჰამერში მესამედ ხდება ჩემპიონი და მესამე მსოფლიო რეკორდს ამყარებს, საერთოდ კი ეს მისთვის მეოთხე ოლიმპიური გამარჯვებაა. „სამშობლოში მოპოვებული ოქრო ალბერვილისაზე ძვირფასია" – იტყვის პრეს-კონფერენციაზე კოსი. კოსი-ბოსი, გაიძახიან ქომაგები. კოსი სამაგალითო პიროვნებაა, რომელმაც 1500 მეტრზე ციგურაობაში გამარჯვებისთვის მიღებული 225 ათასი ნორვეგიული კრონი (დაახლოებით 32 ათასი დოლარი), ოლიმპიური დახმარების ფონდში გადარიცხა. „ერთადერთი განსხვავება სუპერმენსა (იგულისხმება ცნობილი ამერიკული კომიკსის გმირი) და კოსს შორის კოსტიუმის ფერი იყო" – წერენ ნორვეგიული გაზეთები. კოსმა 5 000 და 1 500 მეტრზეც რეკორდი დაამყარა და ოქრო მოიგო, კოსი გმირია.



იუჰან-ოლაფ კოსი

ექვსი წლის იყო გმირი, როდესაც საუცხოო საჩუქარი მიიღო, დედ-მამამ მას ძველმანების მაღაზიაში ციგურები უყიდა. იოჰანი მეტისმეტად მორცხვი ბავშვი იყო და რომ არა მისი მწვრთნელი ჰოვარდ სლეტენი, რომელმაც ბიჭუნა რვა წლისა ჩაიბარა, შესაძლოა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მოციგურავე დაკლებოდა. იგონებენ ასეთ ეპიზოდს, ერთხელ სკოლაში, როდესაც პატარა იოჰანი ხუთმეტრიანი კოშკიდან აუზში უნდა ჩამხტარიყო, მას შეეშინდა და წყალში ფრთხილად ჩასვლა არჩია. დღეს კი ეს ადამიანი დიდების მწვერვალზეა. საოცარი ფაქტია – კლუბში, სადაც ის ვარჯიშობს და რომელსაც SK-94 ქვია სულ ორი წევრია, კოსი და ჩელ სტორელიდი, 10 ათას მეტრზე ვერცხლის მედალოსანი. ამგვარად ეს კლუბი თან უმცირესია დედამიწის ზურგზე, თანაც უძლიერესიო, წერდნენ ნორვეგიული გაზეთები. კოსს რომ სცოდნოდა, თუ რა სწრაფად გადიოდა წრეებს, რეკორდს ვერ დაამყარებდაო, განაცხადა ოსლოს სპორტსმენთა აღდგენითი ცენტრის პროფესორმა სვერ მეჰლუმმა, რომლის აზრით ნებისმიერი წინა რეკორდის ვერ დამხობა მხოლოდ ფსიქოლოგიური ბარიერის ბრალია, რამეთუ ვარჯიშის მეთოდიკა დროთა განმავლობაში ისე იხვეწება, რომ შეუძლებელია თანამედროვე წესით მომზადებულ კაცს ძველი მიღწევა გაუძალიანდეს. კოსის რეკორდსაც დამხობა ელის – „ამა" პროფესორმა ბედნიერ ჩემპიონს.



დან ჯენსენი

ციგურების მეორე დიდოსტატის, 29 წლის ამერიკელი დანიელ ჯენსენის საქმე კი სხვაგვარად იყო. დანი პირველი ადამიანი გახლავთ, ვინც 500 მეტრი 36 წამზე მოკლე დროში გაისრიალა. მან წინა სამ ოლიმპიადაზეც იასპარეზა, მაგრამ უსწრაფეს სპრინტერს ოლიმპიური მედალი მოგებული არ ჰქონდა. 1988 წელს კალგარიში იგი ორივე დისტანციაზე (500 და 1000 მეტრი) დაეცა, თუმცა მთელი წლის მანძილზე საუცხოო ფორმაში იყო. ჯენსენს არც 1992 წელს ალბერვილში გაუმართლა, მაგრამ ამერიკელი ბედს არ დანებდა. ლილეჰამერში ჩასვლის წინ მან 500 მეტრზე ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 35,76 აჯობა რა ოლიმპიურ ქალაქ ჰამარში თავისსავე შედეგს. მისი მწვრთნელი პეტერ მიულერი თვლიდა, რომ ეს დანის შესაძლებლობათა ზღვარი არ იყო: „მას უკეთაც შეუძლია, რადგან თუმცა პირველ წრეზე ჯეროვნად ვერ ისრიალა, მაინც დაამყარა რეკორდი." თავად ჯენსენმა კი ოლიმპიადის დაწყებამდე განაცხადა, რომ ლილეჰამერის თამაშები მისთვის ბოლოა და გაისად აშშ-ის ქალაქ ვესტ ელისის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ სპორტს თავს დაანებებს. ნორვეგიის ტელევიზია ჯენსენს დიდ ყურადღებას აქცევდა. საგანგებო კორესპონდენტი ტრიბუნაზე მისი მშობლებისა და ცოლ-შვილის გვერდით მოკალათებული წარამარა კომენტარს თხოვდა მათ. დანის პატარა გოგონას კი, რომელსაც საერთოდ არ ესმოდა თუ მის ირგვლივ რა ხდებოდა, მაისურზე დიდი ასოებით ეწერა: „მიდი, მამიკო, მიდი." 500 მეტრზე ციგურაობა ამერიკელისთვის ლილეჰამერშიც უიღბლოდ წარიმართა, მან კვლავ წაიფორხილა და კვლავ კვარცხლბეკს მიღმა დარჩა, 1000 მეტრზე შეჯიბრებას კი ციგურებისგან თავისუფალ დროს მარკეტინგის სპეციალისტმა მთელი სული და გული ჩააქსოვა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა – 1.12,43.

ათი წლის წინ, დღეს თითქმის მიწასთან გასწორებულ სარაევოში დან ჯენსენზე ერთი წლით უფროსი გერმანელი ტრამპლინიდან მხტომელი იენს ვაისფლოგიც ასპარეზობდა. ვაისფლოგმა მაშინ ოქროც მოიგო და ვერცხლიც. ყოფილმა გდრ-ელმა 1985 და 89 წლებში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულიც მოიგო და სამჯერ ოთხი ტრამპლინის ტურნეშიც გაიმარჯვა. იმ პერიოდში ვაისფლოგი და ფინელი მატი ნიუკანენი ტრამპლინზე განუკითხავად ბატონობდნენ. ბოლო წლებში იენსის შედეგები გაუარესდა და გვარიც შესაბამისად შეჯიბრებათა ცხრილში დაბლა-დაბლა ინაცვლებდა. ასე იყო ალბერვილშიც, როცა იგი ერთ-ერთი უკანასკნელთაგანი იყო. ლილეჰამერში კი მან თითქოს დროის მანქანით ათი წელიწადი უკან დააბრუნაო, საოცარ ფორმაში მყოფმა ორი ოქროთი დაიმშვენა მკერდი. „მე ველოდი, რომ გუნდურ პირველობას იაპონელები მოიგებდნენ, მაგრამ გამოვიდა ნამდვილი მებრძოლი – ვაისფლოგი და ჩვენმა გუნდმა თავისი სახე აჩვენა" – თქვა შეჯიბრების შემდეგ გერმანელთა მწვრთნელმა რაინჰარ ჰასმა. იმ დღეს იენს ვაისფლოგი 120-მეტრიანი ტრამპლინიდან 135,5 მეტრზე გადახტა და [illegible] ესპენ ბრედესენის რეკორდი გაიმეორა... მეორე ოქრო გერმანელმა იმავე ტრამპლინიდან ინდივიდუალურ ხტომებში მოიგო. ერთ-ერთი სადაზღვევო კომპანიის სპორტის თერაპიის კონსულტანტი იენს ვაისფლოგი დღეს აცხადებს: „მე ხტომებს 35 წლამდე არ შევეშვები, მერე კი კიდეც რომ ოლიმპიური ჩემპიონი რომ გავხდე, მაინც მივატოვებ სპორტს."



კატია ზაიცინგერი

„ოლიმპიური ოქროს მოპოვება განსაკუთრებული სიამოვნებაა" – თქვა კატია ზაიცინგერმა, როდესაც კვიტფიელის სწრაფდაშვების ტრასაზე შეჯიბრება მოიგო – „მე მქონდა სუპერ-თხილამურები, ვეშვებოდი საუცხოო სიჩქარით, ჩამოვსრიალდი გამარჯვებისთვის საკმარის დროში, მაგრამ ვერ ვიზეიმე, სანამ უკანასკნელმა გამომსვლელმა არ დაასრულა ასპარეზობა." 21 წლის გერმანელი სამთო მოთხილამურე რურში დაიბადა, ახლა კი ებერბახში ცხოვრობს, სწავლობს ჰაგენის უნივერსიტეტში და შემოდგომაზე პირველი სერიოზული გამოცდის, ბიზნესის ადმინისტრაციის ჩაბარებას აპირებს. ალბერვილში სწრაფდაშვებისას მას ამინდმა აურია გეგმები, თუმცა ორი დღის შემდეგ სუპერგიგანტში ბრინჯაო მოიგო. შარშან სუპერგიგანტშივე მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ლილეჰამერში კი კარი გამოტოვა და თავის საყვარელ სახეობაში ადგილს მიღმა დარჩა. ზაიცინგერის აგრესიულ და რისკიან სტილს ხშირად ფრანც კლამერისას ადარებენ.

რაკილა სიტყვა გერმანელებზე ჩამოვარდა, არ იქნება მარკუს ვასმაიერიც რომ არ ვახსენოთ. ჰაფიელში 30 ათასი მაყურებელი შეიქნა გიგანტურ სლალომში მისი წარმატების მოწმე. ნორვეგიული პრესა შეჯიბრების შემდეგ ამაყობდა იმით, რომ ადგილობრივმა გულშემატკივარმა, რომელიც თუმცა თავისიანებს, იან-ეინარ ტორსენს და ოლე-კრისტიან ფურუსეტს უჭერდა მხარს, გამარჯვებული უცხოელი ღირსეულად დააფასა. მშვენიერ, მზიან ამინდში ამ ასპარეზობას ნორვეგიისა და შვედეთის სამეფო წყვილები და დანიის დედოფალი მარგარეტიც ესწრებოდნენ. ვასმაიერის გამარჯვებას არავინ ელოდა. ალბათ ვასმაიერისვე ჩათვლით. ნორვეგიის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში მარკუსმა თქვა, გიგანტზე ბოლო ხანს საერთოდ არ მივარჯიშია, უბრალოდ სუპერგიგანტში გამარჯვების შემდეგ ჩემთვის წყნარად შვედეთში გადავედი და ერთი-ორი დღე იქ ვისრიალეო. კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ გერმანელის ზეობას არავინ ელოდა, ოლიმპიადის მთავარ პრესცენტრში ვნახე. მოგეხსენებათ, ფოტორეპორტიორები ჩასაფრებული ხალხია, იციან ვის გადაუღონ და აფაციცებულნი ელიან მის გამოსვლას, აქ კი... ვხედავ პრეს-ცენტრის ჰოლში მოდის კაცი და ხელში დიდი ფურცელი უჭირავს, რომელზეც წერია: „სასწრაფოდ მჭირდება ვაისმაიერის ფოტო, გთხოვთ დამეხმაროთ!"

ოლიმპიადის პირველი ოქროს მედალი 31 წლის იტალიელმა ქალმა მანუელა დი ჩენტამ მოიპოვა 15 კილომეტრზე სათხილამურო რბოლაში. „მე არ ვაპირებ ერთი წარმატებით შემოვიფარგლო." – თქვა მანუელამ და სიტყვა აასრულა. მან ხუთი სტარტიდან ხუთი მედალი მოიპოვა. „ეს ჩემს ბიოგრაფიაში ერთ-ერთი უდიდესი წარმატებაა" – ამბობდა დი ჩენტა პირველი ფინიშის შემდეგ. მან რბოლის დროს არ იცოდა, რომ მეტოქე, რუს ლუბოვ ეგოროვას ერთ წუთს უგებდა. ოლიმპიადის წინ იტალიელი მოთხილამურე სამშობლოში, ქალაქ ლევინიოში განმარტოვდა და თავისით ივარჯიშა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ასეთი მეთოდით მზადება მისთვის საუკეთესო შედეგს გამოიღებდა. „ლევინიოში მე თავად ვწყვეტდი, თავი როგორ დამეტვირთა. მე შემეძლო ყოველდღე ჩემს გემოზე მეცხოვრა."



მაურილიო და ძოლტი

იტალიელთა კუმირს ალბერტო ტომბას კი არ გაუმართლა. ჯერ იყო და გიგანტურ სლალომში მეორე დაშვებისას კარი გამოტოვა. ამბობენ, პირველი ცდის მერე რომ შეატყო, ვერ მოიგებდა, მეორეზე ძალად დაუშვა შეცდომა, აქაოდა ცუდი შედეგით პრესტიჟი არ შემელახოსო. შემდეგ, მის მთავარ სახეობაში, სლალომში მეორე ადგილზე გავიდა. პირველობა კი ავსტრიელ თომას შტანგასინგერს დაუთმო. ტომბა-ბომბა იხტიბარს არ იტეხდა: „მე გუნდის ჯამბაზი ვარ, სერიოზულად ორ წუთსაც ვერ ვჩერდები. ცრურწმენა მაქვს, რომ თუ სერიოზულად ვიქნები, ვერასოდეს მოვიგებ."

ვერ გეტყვით, ისინიც ხუმრობდნენ თუ არა, მაგრამ 4X10 კილომეტრზე სათხილამურო რბოლაში იტალიელმა სილვიო ფაუნერმა ფინიშის



ლილეჰამერის ხუთი მედლის მფლობელი მანუელა დი ჩენტა

ხაზთან აჯობა ლილეჰამერის ორგზის, სულ კი ხუთგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, ნორვეგიელ ბიორნ დელის და ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ჰარიო პეჩანტეს, როგორც თავად გამოტყდა, თავსატეხი გაუჩინა. საქმე ის გახლავთ, რომ პრეზიდენტი თავის ყოველ ოქროსმედალოსანს 300 ათას ნორვეგიულ კრონს დაპირებია, ესტაფეტაში გამარჯვებისთვის კი მას ოთხჯერ ამ თანხის მოძიება მოუწევდა. პრემია ფაუნერის გარდა ერგოთ მაურილიო დე ძოლტს, მარკო ალბარელოს და ჯორჯო ვანცეტას. საგულისხმოა, რომ 44 წლის დე ძოლტის ვაჟიც მოთხილამურეა, რომელმაც ოლიმპიადაზე წასასვლელი ნორმატივი ვერ შეასრულა და თურმე მამას ეხვეწებოდა, გუნდში შენი ადგილი მე დამითმეო. მამამ არ დაუთმო და სწორედაც მოიქცა. დე ძოლტი, ვინც 1987 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე 50-კილომეტრიანი რბოლა მოიგო და მას შემდეგ ოლიმპიადებსა და მსოფლიოს პირველობებზე ბლომად მედლები მოუხვეტია, ლილეჰამერის უხუცესი ჩემპიონი გახდა. არც მისი თანამეესტაფეტეები არიან ბალღები: ალბარელო 34 წლისაა, ვანცეტა – 35-ისა, ფაუნერიღაა შედარებით ახალგაზრდა.

მოგეხსენებათ ოლიმპიადაზე 61 ჩემპიონი გამოვლინდა, მაგრამ იყო მოვლენები, რომლებმაც ბევრი მათგანის სახელი შედარებით მიჩქმალეს. მაგალითად, ქალთა ფიგურულ ციგურაობაში გულშემატკივრისთვის იმდენად მნიშვნელოვანი არ ყოფილა ის ფაქტი, რომ პირველ ადგილზე უკრაინელი „მტირალა" ოქსანა ბაიული გავიდა, რამდენადაც ის, თუ ვის აჯობებდა: ტანია ჰარდინგი თუ ნენსი კერიგანი. რას იტყოდა ჰარდინგი კერიგანზე და პირიქით. ამერიკელმა ჟურნალისტებმა ჰარდინგ-კერიგანის ისტორიიდან დადებითი (კერიგანი) და უარყოფითი (ჰარდინგი) გმირები შექმნეს და საქმე ისე მოეწყო, რომ ლილეჰამერიდან აშშ-ში შეჯიბრების ტრანსლაციისას ოცდაათწამიანი რეკლამა ნახევარ მილიონ დოლარამდე ღირდა.



ტანია ჰარდინგი



ნენსი კერიგანი

ნენსი კერიგანმა ოლიმპიადის გახსნამდე მოაწყო საერთაშორისო პრეს-კონფერენცია, რომელმაც საკმაოდ უინტერესოდ ჩაიარა. საუბარი ძირითადად იმაზე მიდიოდა, თუ ნენსიმ ტრავმის შემდეგ ფორმა როგორ აღიდგინა. ტანია ჰარდინგი კი ნორვეგიაში გვიან ჩავიდა. ადგილობრივი ტელევიზია, სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტებთან ერთად მას ტრაპთან დახვდა, თუმცა ყველა შეკითხვაზე ტანია მე ამას არ ვპასუხობო, იძახდა. შენობაში შესულმა ჰარდინგმა წინასწარ დასწავლილი რაღაც ნორვეგიული ტექსტი წაიკითხა, მეორე თუ მესამე დღეს კი მანაც საერთაშორისო პრეს-კონფერენცია მოაწყო, რომელზედაც ამერიკელი ჟურნალისტები მის მიმართ საკმაო აგრესიულობით გამოირჩეოდნენ. „მე ნენსის დიდ პატივს ვცემ და ვესაუბრე კიდეც. თუ რაზე ვესაუბრე, ეს პირადი საკითხია" – ეს ლამის ერთადერთი პასუხი იყო, რომელიც ჰარდინგმა თავად გასცა, სხვა შეკითხვებზე კი მისი მწვრთნელი პასუხობდა.

ჰარდინგ-კერიგანის ამბავმა მიჩქმალა გერმანელი კატარინა ვიტის სამოყვარულო სარბიელზე დაბრუნება. როგორც ვიტის თანამემამულე ჟურნალისტებმა გვითხრეს, კატარინას დიდი იმედი ჰქონდა, რომ მისი ოლიმპიადაზე გამოჩენა უმთავრესი სენსაცია იქნებოდა, მაგრამ ამერიკული ისტორიით დაჩრდილულმა საბოლოოდ საერთაშორისო პრეს-კონფერენციის გამართვაც ვერ გადაწყვიტა.

დიდი ხმაური გამოიწვია ბრიტანული წყვილის, 37 წლის ჯეინ ტორვილისა და 36 წლის ქრისტოფერ დინის მოყვარულებში დაბრუნებამაც. ყველას ახსოვდა მათ მიერ სარაევოში ნაცეკვი რაველის „ბოლერო". წყვილიც არ მალავდა, რომ ლილეჰამერში გამარჯვებაზე ჰქონდათ პრეტენზია, მაგრამ საბოლოოდ მესამე ადგილს დასჯერდნენ, „სარბიელის" წინა ნომერში კი გაუწყეთ, რომ ისინი კვლავ პროფესიულ სარბიელს დაუბრუნდნენ.

ილია ბაბუნაშვილი,
ლილეჰამერი – თბილისი

რედაქცია მადლობას უხდის სავაჭრო-სამრეწველო კომპანია „აჩის", ავიაკომპანია „ლიდიას" და „ჯორჯიან ინტელკომს" ჩვენი კორესპონდენტის ოლიმპიადაზე გამგზავრებაში გაწეული დახმარებისთვის.

## ლილეჰამერი-94:

### ყველა, ვინც 2 მედალზე მეტი მოიპოვა, ან ორგზის ჩემპიონი გახდა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5 — მანუელა დი ჩენტა | იტალია, სათხილამურო რბოლა | 2 | 2 | 1 |
| 4 — ლიუბოვ ეგოროვა | რუსეთი, სათხილამურო რბოლა | 3 | 1 | - |
| 4 — ბიორნ დელი | ნორვეგია, სათხილამურო რბოლა | 2 | 2 | - |
| 3 — იუჰან-ოლაფ კოსი | ნორვეგია, ციგურაობა | 3 | - | - |
| 3 — ვლადიმერ სმირნოვი | ყაზახეთი, სათხილამურო რბოლა | 1 | 2 | - |
| 3 — ფრენი შნაიდერი | შვეიცარია, სამთო თხილამურები | 1 | 1 | 1 |
| 3 — სერგეი ტარასოვი | რუსეთი, ბიატლონი | 1 | 1 | 1 |
| 3 — ჩეტილ-ანდრე ომოდტი | ნორვეგია, სამთო თხილამურები | - | 2 | 1 |
| 3 — მიკა მილილაე | ფინეთი, სათხილამურო რბოლა | - | 1 | 2 |
| 2 — ჩუნ ლი კიუნი | კორეა, შორტტრეკი | 2 | - | - |
| 2 — ბონი ბლეირი | აშშ, ციგურაობა | 2 | - | - |
| 2 — მირიამ ბედარი | კანადა, ბიატლონი | 2 | - | - |
| 2 — მარკუს ვასმაიერი | გერმანია, სამთო თხილამურები | 2 | - | - |
| 2 — იენს ვაისფლოგი | გერმანია, ტრამპლინიდან ხტომა | 2 | - | - |

## კალათბურთი

### NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# «ჰითი» – 7, «ჯაზი» – 9 «კავალიერზი» – 10!

შაბათი, 5 მარტი

**მაიამი ჰითი — ფილადელფია-76** 120:83. „ჰითმა" ორი რეკორდი დაამყარა: შვიდჯერ ზედიზედ არასდროს მოუგია და აქამდე არც 37 ქულის სხვაობით დაუმარცხებია ვინმე. ყველაზე დიდი, 35-ქულიანი მარცხი მათ „კლიპერზისთვის" უგემებიათ 1990 წლის 2 თებერვალს. გლენ რაისმა 32 ქულა მოუტანა გამარჯვებულებს, რონი საიკლიმ კი — 22 (13 სროლიდან 9 ჩააგდო). „76"-ში, რომელიც ორჯერ იყო წინ — 2:0 და 4:2 — საუკეთესო იყო ექს-ჯაზელი ჯეფ მელოუნი — 21 ქულა.

**სიეტლ სუპერსონიქსი — საკრამენტო კინგზი** 114:98. მასპინძლებმა ზედიზედ მეშვიდედ დაამარცხეს „კინგზი". სიეტლელთაგან ყველაზე შედეგიანი იყო შონ კემპი — 25 ქულა, 14 მოხსნა. ასოციაციის ლიდერმა მეოთხე მატჩი დაასრულა გამარჯვებით.

**ატლანტა ჰოქსი — ინდიანა პეისერზი** 90:88. მატჩის ფინალი დრამატულად განვითარდა: დამთავრებამდე 2,08 წუთით ადრე „ინდიანა" 86:83 იგებდა..შემდეგ ატლანტელებმა იმარჯვეს: კევინ ვილისმა ფარქვეშიდან ჩააგდო, ხოლო მუკი ბლეილოკმა სამქულიანი ისროლა ზუსტად. „პეისერზმა" ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ დამთავრებამდე 7,3 წამით ადრე „ჰოქსელმა" დანი მანინგმა 2 ქულა გააკეთა და მეტოქის შეტევისას დააფარა ბაირონ სკოტის სროლას, რომელიც უეჭველად კალათში მიდიოდა.

**ვაშინგტონ ბულიტსი — ლოს-ანჯელეს ლეიკერზი** 124:118. პირველ მეოთხედში ვაშინგტონელმა მაიკლ ადამსმა (29 ქულა) 17 ქულა გააკეთა, 5 სამქულიანი ჩააგდო (სულ მატჩში 6 — კლუბის რეკორდი) და თავისიანები 39:27 დააწინაურა. „ბულიტსმა" პირველ ტაიმში 71 ქულა მოაგროვა.

**დალას მავერიქსი — იუტა ჯაზი** 90:103. „ჯაზმა" ზედიზედ მეცამეტედ მოუგო „დალასს". ეს კარლ მელოუნის (34 ქულა, 13 მოხსნა) დიდი დამსახურებაა. „იუტამ" ზედიზედ მერვედ მოიგო.

**ჰიუსტონ როკიტსი — ლოს-ანჯელეს კლიპერზი** 124:107. „ჰიუსტონმა" მეორე და მესამე მეოთხედებში ორჯერ მოიგო მონაკვეთები ერთნაირი ანგარიშით — 19:4. აკიმ ოლაჯუონმა 30 ქულა და 10 მოხსნა გააკეთა. სხვა „როკიტსელებმა" ასე დაასრულეს მატჩი: კენი სმიტი — 24 ქულა, ოთის თორპი და რობერტ ორი — 13-13 ქულა. „ჰიუსტონმა" სეზონის რეკორდი დაამყარა — 16-ჯერ ჩაჭრა ბურთი.

**მილუოკი ბაქსი — დეტროიტ პისტონზი** 117:108. მილუოკელმა ჯონ ბარიმ ორი ბურთი ჩააგდო მეოთხე მეოთხედის იმ მონაკვეთში, რომელიც მისმა გუნდმა 6:0 მოიგო და საბოლოოდ დაწინაურდა. ერიკ მერდოკმა 28 ქულა მოუტანა „ბაქსს", ხოლო ვინ ბეიკერმა, თებერვლის თვის საუკეთესო ახალბედამ — 24 ქულა, 10 მოხსნა და 6 პასი. დეტროიტელებმა ჯო დუმარსმა (42 ქულა) და აიზია თომასმა (17 ქულა, 10 პასი) ვერაფერი გააწყვეს.

**გოლდენ სტეიტ ვორიორზი — შარლოტ ჰორნეტსი** 123:112. უცნაურად ირჯებოდა „ვორიორზის" „რკინის კაცი" ლატრელ სპრიუელი: საწყისი 15 სროლიდან 13 ააცილა. მესამე მეოთხედში კი, როცა მისმა გუნდმა ერთი მონაკვეთი 16:2 მოიგო, სპრიუელმა 5 სროლიდან ხუთივე ჩააგდო, მათგან ორი — სამქულიანი.

კვირა, 6 მარტი

**კლივლენდ კავალიერზი — ჩიკაგო ბულზი** 99:95. დამთავრებამდე 28.1 წამით ადრე „კლივლენდმა" ბურთი აუტში გადააგდო. ჩიკაგოელთა გამთამაშებელმა ბი. ჯეი. არმსტრონგმა განაახლა თამაში, მაგრამ ნელა მოდიოდა და წესი დაარღვია: ათ წამში არ გადაიტანა ბურთი მეტოქის ნახევარზე. შეტევის უფლება „კავალიერზმა" მიიღო და „ჩიკაგო" იძულებული გახდა პერსონალურ საჯარიმოებზე ეთამაშა. უკანასკნელი ორი ბურთი ავადმყოფი ცენტრის ბრედ დოჰერტის შემცვლელმა ჯონ ვილიამსმა (23 ქულა) ჩააგდო დამთავრებამდე 5.1 წამით ადრე. „კლივლენდმა" ზედიზედ მეათედ მოიგო. მის რიგებში ვილიამსის შემდეგ ყველაზე შედეგიანები იყვნენ ბობი ფილზი (19 ქულა) და ჯერალდ ვილკინსი (16 ქულა). „ბულზმა" ზედიზედ მეხუთედ წააგო. პიტ მაიერსმა 17 ქულა შესძინა მას, ლუკ ლონგლიმ — 16,



შაკილ ო ნილს დევიდ რობინსონმა დაბადების დღე აწყევლინა

სკოტი პიპენმა 15 ქულა და 14 მოხსნა, ჰორას გრანტმა — 15 ქულა.

**სან-ანტონიო სფერზი — ორლანდო მეჯიკი** 111:103. „სფერზის" ცენტრმა დევიდ რობინსონმა (36 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი, 6 დაფარება) ჩაუშხამა 22-ე დაბადების დღე „ორლანდოს" ცენტრს შაკილ ო ნილს (32 ქულა, 11 მოხსნა). „მეჯიკმა" სროლათა 33 პროცენტი ჩააგდო, ხოლო მეოთხე მეოთხედი 17:37 წააგო. ამ პერიოდში რობინსონმა და დეილ ელისმა (22 ქულა) ჯამში 24 ქულა გააკეთეს.

**ნიუ-ჯერსი ნეტსი — ფილადელფია-76** 126:99. „ნეტსელმა" დერიკ კოულმენმა კარიერაში მეორე სამმაგი დუბლი გააკეთა — 13 ქულა, 12 მოხსნა, 10 პასი. „ნიუ-ჯერსიმ" 9 სამქულიანი ჩააგდო, რაც კლუბის ისტორიაში უმაღლესი შედეგია.

**ფინიქს სანზი — იუტა ჯაზი** 92:103. „ჯაზმა" შეაწყვეტინა „ფინიქსს" სახლში 10-მატჩიანი წაუგებელი სერია. ამასთანავე, პირველად მოიგო ფინიქსში 1986 წლის 7 მარტის შემდეგ. „იუტელმა" ჯონ სტოქტონმა გააკეთა 18 ქულა და 20 პასი, რომელთაგან უმეტესი კარლ მელოუნმა (30 ქულა) გამოიყენა. „ჯაზმა" ზედიზედ მეცხრედ მოიგო.

**საკრამენტო კინგზი — სიეტლ სუპერსონიქსი** 85:102. 24 საათის შემდეგ გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, ამჯერად საკრამენტოში. მოედნის შეცვლას არ უმოქმედია „სიეტლზე": გერი პეიტონმა (24 ქულა), ვინსენტ ესკიუმ (19 ქულა) და კენდალ გილმა (17 ქულა) პირველ ტაიმშივე გადაწყვიტეს მატჩის ბედი.

**დენვერ ნაგიტსი — მინესოტა ტიმბერვულვზი** 117:97. „დენვერმა" სროლათა 61 პროცენტი ჩააგდო და მაჰმუდ აბულ-რაუფის (21 ქულა) წინამძღოლობით შეინარჩუნა 20-ქულიანი უპირატესობა, მესამე პერიოდის ბოლოს რომ მიიღო.

**მერაბ რატიშვილი**

| მდგომარეობა: | მ | წ | % |
| --- | --- | --- | --- |
| **ატლანტიკის ჯგუფი** | | | |
| ნიუ-იორკი | 38 | 19 | 666 |
| ორლანდო | 34 | 23 | 596 |
| მაიამი | 32 | 25 | 561 |
| ნიუ-ჯერსი | 30 | 28 | 517 |
| ბოსტონი | 21 | 36 | 368 |
| ფილადელფია | 20 | 39 | 339 |
| ვაშინგტონი | 18 | 40 | 310 |
| **ცენტრალური ჯგუფი** | | | |
| ატლანტა | 41 | 16 | 719 |
| ჩიკაგო | 37 | 21 | 638 |
| კლივლენდი | 35 | 24 | 593 |
| ინდიანა | 30 | 26 | 536 |
| შარლოტი | 23 | 33 | 412 |
| მილუოკი | 17 | 40 | 298 |
| დეტროიტი | 13 | 44 | 228 |
| **შუა-დასავლეთის ჯგუფი** | | | |
| ჰიუსტონი | 40 | 15 | 727 |
| სან-ანტონიო | 42 | 17 | 712 |
| იუტა | 41 | 19 | 683 |
| დენვერი | 29 | 28 | 509 |
| მინესოტა | 16 | 41 | 281 |
| დალასი | 8 | 50 | 138 |
| **წყნარი ოკეანის ჯგუფი** | | | |
| სიეტლი | 42 | 14 | 750 |
| ფინიქსი | 37 | 19 | 661 |
| პორტლენდი | 36 | 22 | 621 |
| გოლდენ სტეიტი | 34 | 23 | 596 |
| ლ. ა. ლეიკერზი | 21 | 35 | 375 |
| საკრამენტო | 19 | 38 | 333 |
| ლ. ა. კლიპერზი | 19 | 38 | 333 |

## რაგბი

### ხუთი ერის პირველობა

მეოთხე ტური. 5 მარტი

**საფრანგეთი 14 (0) — ინგლისი 18 (9)**

საფრანგეთი: სადურნი; ტემუარე, სელა, ლაკრუა, სენტანდრე; პენო, გალტიე; გალარი, გონზალესი,. ბენეზეში; ბენეტონი, რუმა (კაპიტანი), მერლი, ბენაზი; კაბანი. — ლ: ბენაზი (8:12); 3ს: ლაკრუა (3:12, 11:12, 14:15)

ინგლისი: პირსი; პანტერი, კარლინგი (კაპიტანი), დეგლენვილი, რ. ანდერვუდი; ენდრიუ, მორისი; ლენარდი, მური, უბოგუ; როდბერი, რედმანი, ჯონსონი, ოჯომო; კლარკი. — 5ს: ენდრიუ (0:3, 0:6, 0:9, 11:15, 14:18); ა: ენდრიუ (0:12)

მსაჯი სტივ პილდიჩი (ირლანდია)

**ირლანდია 6 (3) — შოტლანდია 6 (0)**

ირლანდია: ოშეი; ვოლისი, ფილდი, დანაჰერი, გეგანი; ელვუდი, ბრედლი (კაპიტანი); პოპლველი, კინგსტონი, კლოჰესი; გოლვეი, ჯონსი, ფრენსისი, მაკბრაიდი; რობინსონი; ოკონორი (ორგზის, დროებით). — 2ს: ელვუდი (3:0, 6:6)

შოტლანდია: გ. ჰეისთინგსი (კაპიტანი); სტეინჯერი, ს. ჰეისთინგსი, ვაილი, ლოგანი; თაუნზენდი, არმსთრონგი; შარფი, მილნი, ბერნელი; ვოლტონი, რიიდი, მანროუ, სმითი; ვაიარი. — 2ს: გ. ჰეისთინგსი (3:3, 3:6)

მსაჯი ედ მორისონი (ინგლისი)

# ზედიზედ მეშვიდედ!

ყველაფერი მაინც თვიქნემში გადაწყდება 19 მარტს. თუ ინგლისი უელსს 16 ან მეტი ბურთის სხვაობით მოუგებს, ჩემპიონი გახდება. წინა ჯერზე, ორი წლის წინ, ინგლისმა 24:0 გაიმარჯვა და ზედიზედ მეორე „დიდი სლემიც" განახორციელა, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო. უელსი წელს აშკარად მოღონიერდა და თუ ბოლო თამაშსაც მოიგებს, თავად შეასრულებს „დიდ სლემს" — პირველად 1978 წლის შემდეგ.

პირველობის ტურებს შორის ღირსშესანიშნავი ოდენ შემადგენლობათა შეცვლაა ხოლმე. ამჯერად ირლანდიამ ინგლისის მძლეველი თხუთმეტეული ხელუხლებელი დატოვა, შოტლანდიამ ინგლისის დამარცხებული გუნდიდან დაშავებული ვეინრაითილა მოისაკლისა და მის ადგილზე სმითი დაიყენა, საფრანგეთმა უელსთან წაგების შემდეგ სამი მოთამაშე შეცვალა, ინგლისმა კი ირლანდიის მიერ ძლეულ გუნდში ხუთი კაცი დაიწუნა.

და მაინც, მთავარი მოვლენა ინგლისის მენეჯერის — ჯეფ ქუქის უეცარი განცხადება იყო: კაცმა, ვინაც ნაკრები საშინაო საკლუბო ჩემპიონატის შემოღებისთანავე, 1987 წლის შემოდგომაზე ჩაიბარა და მერე და მერე მოაგებინა ორი „დიდი სლემი", გუნდი გაიყვანა მსოფლიო თასის ფინალში და 44 ტესტში 32-ჯერ გაამარჯვებინა (ერთი თამაშიც ფრედ დასრულდა), 28 თებერვალს საზოგადოებრიობას აუწყა, რომ ჩემპიონატის დამთავრებისთანავე გადადგება, რაკილა ოჯახური და სამსახურებრივი შოუცლელობის გამო საქმეს ველარ უძღვება. აქ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამოყვარულო სპორტის წარმომადგენელი მოყვარული მწვრთნელი ქუქი ბრიტანეთის სპორტის მწვრთნელთა ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორია. მისი გადადგომის შემდეგ ინგლისს ჯერ სამხრეთაფრიკული ტურნე ელის, მერე კი საგაისო ხუთი ერის პირველობა და მესამე მსოფლიო თასი, რომელიც ისევ და ისევ სამხრეთ აფრიკაში უნდა გაიმართოს.

ირლანდიასთან წაგების შემდეგ ქუქმა ნაკრებიდან მიაბრძანა თ. ანდერვუდი (14), ბეიფილდი (4) და ბექი (7), აგრეთვე შარშან ნოემბერში „ოლ ბლექსთან" თამაშის წინ დაწინაურებული კალარდი (15) და ბრაქანი (9). მცველად დევიდ პირსი აღზევდა, შერკინების ნახევარმცველად მესამედ დაბრუნდა დევი მორისი, ბეიფილდი კი ხოტორა ნაიჯელ რედმანმა შეცვალა. ტრავმებმა ისევ არია მესამე ხაზი, მაგრამ კლარკი დროულად მოკეთდა და 8 ნომრად დადგა, ნიგერიელი ზანგი ოჯომო კი ფრთაზე გაამწესეს.

ფრანგებს დაშავებოდათ მარკ სესიონი (8). სელექტორთა მეთაურმა გი ლაპორტმა გაუგონარი რისკი გასწია: მის ნაცვლად ათამაშა ლორან კაბანი, რომელიც ნოემბერში დაშავდა და ჯერაც ვერ მომჯობინებულა იმდენად, კლუბს რომ დაუბრუნდეს. ლაპორტმა არჩევანი ასე გაამართლა: „კარდიფში წაგების შემდეგ ისეთი ლიდერი გვჭირდება, ვინაც ემოციურად დასვენებულიაო".

„პარკ დე პრენსზე" საგაზაფხულო დარი იდგა. ინგლისმა, ვისაც ფრანგები მანამდე ზედიზედ ექვსჯერ დაემარცხებინა, თამაში რიხით დაიწყო და მე-5 წუთზე დაწინაურდა. ამის შემდეგ ფრანგებმა მთელი 25 წუთით იძალეს, მაგრამ სტუმრებმა შემოტევას ვაჟკაცურად გაუძლეს, ფრანგებმა კი ვერაფრით იხეირეს და პირველი ნახევრის მიწურულს რამდენიმე ტუტუცური ჯარიმა მიიღეს. 31 წლის რობ ენდრიუმაც, რომელსაც 1989 წლის შემდეგ პირველად დაეკისრა ნაკრების დამრტყმელობა, ტაიმისათვის წამატებულ 6 წუთში კიდევ ორი საჯარიმო შეაგდო და თავისიანები 9 ქულით დააწინაურა.

მეორე ნახევრის დაწყებისთანავე ენდრიუმ ბურთი არეკნით გაიტანა, მერე ლაკრუამ, რომელიც ძველმოდურად, „ტორპედოს" ყაიდაზე ურტყამს, სამიდან ერთადერთი საჯარიმო შეაგდო, მაგრამ მე-11 წუთზე „მამლებმა" მაინც გაიტანეს ლელო, როცა მეტოქის ლელოსთან მოგებული რა-



რობ ენდრიუ

ქის მერე გალტიემ ბენაზის იქვე შეატევინა. გარდასახვისას ლაკრუას ბურთი წაექცა და ვიდრე გაასწორებდა, ინგლისელებმა ალაგმეს.

მთავარი მოვლენები ბოლო ათ წუთში მოხდა. ლაკრუამა და ენდრიუმ 30-ე, 34-ე, 36-ე და მე-40 წუთებზე რიგრიგობით შეაგდეს ორ-ორი საჯარიმო. ფრანგები ბევრს ეცადნენ ლელოს გატანას, მაგრამ უდისციპლინობამ დაალალატათ: გადამწყვეტ მომენტში გალარმა მეტოქეს მუშტი უთავაზა და დაჯარიმდა. ინგლისმა, პირიქით, მშვიდად დაიცვა თავი, ენდრიუმ კი მეტოქე 20-ზე მეტჯერ შებოჭა. და მაინც, ინგლისმა ზედიზედ მეხუთე თამაშში ვერ გაიტანა ლელო.

„ლენზდაუნ როუდზე" მაჩანჩალები თამაშობდნენ. შესვენებამდე ელვუდს სამი საჯარიმო გაუცუდდა, შესვენების შემდეგ კი ზურგქარით ფრთებშესხმულმა შოტლანდიამ შეუტია. კვლავ შესანიშნავად ითამაშა ნაკრებში დაბრუნებულმა გერი არმსთრონგმა, მაგრამ თამაშის ბოლოს მასპინძლების გარემარბებმა — ვოლისმა და გეგანმა კინაღამ ლელოები გაიტანეს.

**ზაალ გიგინეიშვილი**

| | | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| უელსი | 3 | 3 | 0 | 0 | 70:36 | 6 |
| ინგლისი | 3 | 2 | 0 | 1 | 45:41 | 4 |
| ირლანდია | 4 | 1 | 1 | 2 | 49:70 | 3 |
| საფრანგეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 64:57 | 2 |
| შოტლანდია | 3 | 0 | 1 | 2 | 26:50 | 1 |

ბოლო ტური: 19 მარტი. შოტლანდია — საფრანგეთი; ინგლისი — უელსი

*

ერთი დღით ადრე, კარდიფში, საფეხბურთო „ნინიან პარკზე", 6 200 მაყურებლის თვალწინ უელსმა ლიგის რაგბის ტესტი მოუგო საფრანგეთს 13:12. ფრანგებმა ორი ლელო და ორი გოლი გაიტანეს და ბოლო წუთამდეც 12:7 უგებდნენ უხალისოდ მოთამაშე მასპინძლებს, მაგრამ ამ დროს იყოჩაღა ლიგაში ნახევარი წლის წინ გადასულმა რიჩარდ ვებსტერმა და გაიტანა ლელო, რომელიც 1989 წელს გაპროფესიონალებულმა ჯონათან დევისმა გარდასახა. ამ მოგებით უელსმა საგაისო საიუბილეო მსოფლიო პირველობისათვის მეოთხე ნომრად განთესვა გაინაღდა და თუ ნახევარფინალს მიაღწევს, იქ უთუოდ ავსტრალიის „კენგურუს" შეეფეთება.

## აქეთური, იქითური

ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ დაადგინა, რომ მსოფლიო პირველობა მოკლე აუზში მოეწყოს ბრაზილიაში, 1996 წლის 30 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე. იმავე ფედერაციამ ჩინელ ჟან ვეიჟუს დოპინგის ხმარებისათვის ორწლიანი დისკვალიფიკაცია მისცა და ორი მსოფლიო რეკორდიც გაუუქმა. ამან ერთობ მოულოდნელად გაანაწყენა ავსტრალიის მოცურავეთა წინამძღოლი საიმონ ალედსონი, რომელმაც ბრძანა, რომ ბევრ ქვეყანაში თითქმის არ ტარდება ტესტირება ვარჯიშის პერიოდში, შეჯიბრებების დროს აღებული სინჯებით კი ცრუდვილთა გამოჭერა ძირსო. რაც შეეხება საერთაშორისო ფედერაციას, მას თურმე სჯერა, რომ ცურვაში დოპინგის ხმარება სხვა სახეობებთან შედარებით იშვიათობა ყოფილა.

*

ჩინელი სტაიერი ქალები 17 აპრილს ლონდონის მარათონში მონაწილეობისათვის ემზადებიან. მანამდე მათ თურმე უფრო სარფიანი ღონისძიებაც ელით: ზუსტად ერთი კვირით ადრე ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში მოეწყობა ბობ ჰასანის ათკილომეტრიანი კროსი, რომლის გამარჯვებულსაც ერგება სარეკორდო ჰონორარი — 525 000 ამერიკული დოლარი, თუკი გააუმჯობესებს ლიზ მაკკოლგანის მიერ 1989 წელს დამყარებულ რეკორდს, რომელიც 30 წუთსა და 38 წამს უდრის.

*

ბრიტანული პროფესიული კრივის მამებმა კრივის მსოფლიო ორგანიზაციის საჩემპიონო შერკინების პრეზენტაციის დროს ამტყდარი მუშტი-კრივის მონაწილეებს — მსოფლიოს მძიმეწონოსან ჩემპიონ, ამერიკელ მაიკლ ბენთსა და გაინგლისელებულ ნიგერიელ ჰარბი ჰაიდს სასჯელად ათ-ათი ათასი გირვანქის გადახდა დააკისრეს. ბენთის მენეჯერმა ჯერ დიდი ამბით დაიქადნა, შაგ თანხის გადახდას რა უნდაო, მაგრამ ახლა გაირკვა, რომ მოკრივეს ორგანიზაციაში სარჩელი შეუტანია.

*

კენიის დედაქალაქ ნაირობში მიმდინარე კრიკეტის საერთაშორისო საბჭოს თასის მეოთხე გათამაშებამ გამოავლინა ის სამი გუნდი, რომლებიც 1996 წელს პაკისტანში, ინდოეთში და შრი-ლანკაზე გასამართ თითოდღიანი კრიკეტის მსოფლიო თასის გათამაშებაში იასპარეზებენ. ესენი არიან ფინალისტები კენია და არაბთა გაერთიანებული საამიროები, აგრეთვე შეჯიბრებამდელი ფავორიტი ჰოლანდია, რომელმაც მესამე ადგილისათვის მატჩში 103 გარბენით მოუგო ციცქნა ბერმუდას. თუმცა არც ბერმუდას დაუკარგავს საბოლოოდ მსოფლიო თასის საგზურის მოპოვების იმედი, ვინაიდან საამიროების გუნდში ისეთი პაკისტანელებიც თამაშობენ, რომლებსაც ამ ქვეყნის სახელით ასპარეზობის უფლება არა ჰქონიათ, რის გამოც მოსალოდნელი ყოფილა, რომ კრიკეტის საერთაშორისო საბჭო ძალად არაბებს დისკვალიფიკაციას მისცემს.

*

ავსტრალიის უდიდესი შტატი — დასავლეთი ავსტრალია დანარჩენ ქვეყანას განუდგა. ამ შტატის ხელისუფლებას განუზრახავს სხვა შტატებთან სპორტული კონტაქტების განვითარების ნაცვლად გააცხოველოს ურთიერთობა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის სპორტულ ორგანიზაციებთან. შტატის დედაქალაქ პერთის ფეხბურთისა და კალათბურთის გუნდები თურმე უკვე მონაწილეობენ აზიელთა მულტიეროვნულ ლიგებში. წელს ამათ დაემატებიან ფრენბურთელი ქალები, მერე და მერე კი თურმე სხვა ყაიდაზე მობურთალთა ჯერიც მოვა.

*

ინდოეთის ქალაქ ლაკნაუში როგორც იქნა გაიმართა ინდირა განდის სახელობის ოქროს თასის გათამაშება ვაჟ ბალახის ჰოკეისტთა გუნდების მონაწილეობით. შეჯიბრებაში ექვსი გუნდი: ინდოეთი, კორეა, ეგვიპტე, სამხრეთი აფრიკა, იაპონია და კენია ჩაებნენ. სამხრეთაფრიკელებმა რიხიანად დაიწყეს შეჯიბრი და კორეას 6:0 მოუგეს, მაგრამ მერე ეგვიპტესთან შეირცხვინეს თავი 0:3, ინდოეთს კი ველარ მოერივნენ 1:1. ინდოეთმა ეს ერთი ქულა დაკარგა და პირველი ადგილიც დაიკავა, სამხრეთმა აფრიკამ კი ბურთების სხვაობით აჯობა ეგვიპტეს და მეორე ადგილზე გავიდა.

**აქეთური, იქითური**

**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით
ინდექსი 66441
რაიონებისთვის გაზეთის ფასი სახელშეკრულებოა

**რედაქციის მისამართი:**
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

**დამფუძნებელი:**
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა
„მარდი"

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
სარედაქციო კოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)